ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 1/127-2014

ქ. თბილისი „4" ივლისი 2014წ.

ერთი მხრივ,

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონი აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის პირველი მოადგილის თეიმურაზ ჩხაიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორე მხრივ,

შპს „ფართი ჰაუსი" (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჟვანიას ქ. N10) წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ნიჟარაძის სახით (შემდეგში "მიმწოდებელი").

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ავია მიმართულებების განვითარების ფორუმის **„Routes Silk Road 2014"** ფარგლებში სტუმრებისათვის წვეულებისა და სანახაობრივი ღონისძიების ორგანიზება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად. (CPV-79952000).

1.2 წვეულების მენიუ განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N2 - ის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 81791,70 (ოთხმოცდაერთი ათას შვიდას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

მუხლი 3. ხელშეკრულების განხორციელების ვადები

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2014 წლის 7 ივლისს შემდეგ მისამართზე, თბილისი, მთაწმინდის პარკი „ანდერვილი".

3.2. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

5.3.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

5.4. მომსახურების ჩამონათვალში (დანართი N1) მითითებული რომელიმე პოზიციის არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში არ განხორციელდება შეუსრულებელი ნაწილის თანხის ანაზღაურება.

5.5. „მიღება–ჩაბარების" აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს" ხარისხიანი მომსახურება;

6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3.დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.1.5 თავისი ხარჯით გამოასწოროს გაწეული მომსახურების ხარისხის ხარვეზი.

6.1.6.შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს გაწეული მომსახურების სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა.

6.1.7 უზრუნველყოს ღონისძიების ჩატარება საკუთარი აღჭურვილობით, ინვენტარითა და პერსონალით (ადგილზე ტრანსპორტირების ჩათვლით).

6.1.8 უზრუნველყოს ღონისძიების სრული ტექნიკური მხარდაჭერა და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები.

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7.2.2 არ მიიღოს უხარისხო შესრულება.

მუხლი 8. ცვლილებები

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორივე მხარის ხელმოწერით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით(ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია,

სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი.

9.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.

9.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.

9.5. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლ 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

12.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

12.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

12.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" აპარატის უფროსი მარიამ ზაუტაშვილი.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

მუხლი 14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე მომსახურების გაწევის დროს გამოწვეული ზიანი.

მუხლი 15. გამოყენებული სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 16. დავა

16.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად თითოეული მხარისთვის.

18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი ისანი-სამგორის რაიონი აეროპორტი (აეროპორტის დასახლება) **ს.კ** № 404 389 693 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE47TB0615536070100001 / GEL --- თეიმურაზ ჩხაიძე დირექტორის პირველი მოადგილე	**„მიმწოდებელი"** **შპს „ფართი ჰაუსი"** მისამართი: ქ. თბილისი, ჟვანიას ქუჩა №10, ბინა№32 საიდენტიფიკაციო კოდი: 404 855 965 ა/ნ „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE66BG0000000416049500 --- თინათინ ნიჟარაძე დირექტორი

კომპანია	SilkRoadRout
თარიღი	7/7/2014
სტუმრების რაოდენობა	300
საორიენტაციო დრო	18:30 - 02:00
ადგილი	მთაწმინდის პარკი

	დასახელება	რაო-ბა	ერთ.ფასი	ჯამი
"ანდერვილი"	ანდერვილის იჯარა	1	5000	5000
	ყვავილების თაიგული (წითელი ვარდები ლარნაკებში, სარკის დასადები , სანთლები და ჭურჭელი)	30	55	1650
	ქართულ-ევროპული კერძები (ინვენტარი & სერვისი)	300	72	21600
ინვენტარი	კოკტეილის მაგიდები	15	45	675
	ყვავილები კოქტეილის მაგიდებზე	15	20	300
	პუფები ლაუნჯისთვის	60	25	1500
	მაგიდები ლაუნჯისთვის	15	30	450
	ქართული კუთხე (ბანერი, მაგიდა -სკამი და სხვა ტრადიციული ელემენტები)	1	350	350
	ყველის ასორტი (რედისონში)	6	48	288
	მენიუები (ვახშმი დაბეჭდილი მენიუ)	110	3	330
	ჰოსტესები (სასტუმროში)	2	300	600
	პრომო გოგოები (იმერულ ეზოში)	2	90	180
	პრომო გოგო და ბიჭი (ქართულ ტრადიციულ ფორმაში)	2	150	300
გასართობი პროგრამა	ანსამბლი ერისიონი (ცეკვა & სიმღერა) 30 წუთიანი პროგრამა	1	4375	4375
	გუფი ბენდი - 2 სეტი თითოეული სეტის ხანგრძლივობა 45 წუთი.	1	3500	3500
	ფოტოგრაფი	1	875	875
	დიჯეი 2 სეტი - პირველი სეტი 19:00-20:00 მეორე სეტი 23:00 - 01:00	1	1062	1062
ტექნიკური აღჭურვილობა	ეკრანი	1	7000	7000
	წითელი ხალიჩა	1	350	350
	გახმოვანება	1	1800	1800
	განათება გარეთ და შიგნით	1	5000	5000
დეგუსტაცია და მასტერკლასი ქართული კუთხის (იმერული ეზო)	ხინკლის მოხვევა	*100*	*0.8*	80
	ხაჭაპურის დამზადება	*20*	*9*	180
	ჩურჩხლის ამოვლება	*150*	*2*	300
	თექის დამზადების ტექნოლოგიის ჩვენება	*1*	*150*	150
	ჭედურობა	*1*	*150*	150
	შოთის ცხობა (მომრავი თონე)	*1*	*350*	350
	მეარღნე	*1*	*150*	150
	ტრადიციული ჭურჭელი და დეკორი	*1*	*250*	250
	მომსახურე პერსონალის ჰონორარი	*5*	*80*	400
პირო ტექნიკა	ფეირვერკი	1	3000	3000
მომსახურება	დაგეგვა & ორგანიზება	1	6620	6620
	ტრანსპორტირება	1	500	500
		ჯამი დღგ-ს გარეშე		69315
		დღგ 18%		12476.7
		ჯამი დღგ-ს ჩათვლით		81791.7